მოწვევა საგამოძიებო ჟურნალისტიკის და ციფრული უსაფრთხოების ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად

ევროპის ფონდი აგრძელებს სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების ძალისხმევის მხარდაჭერას, საქართველოში ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და საჭიროებაზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, ფონდი ახორციელებს ინიციატივას - *საგამოძიებო ჟურნალისტიკის მხარდაჭერა ცვლილებებისათვის.* აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ევროპის ფონდი იწვევს ჟურნალისტებს და ბლოგერებს საგამოძიებო ჟურნალისტიკის და ციფრული უსაფრთხოების ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი ჩატარდება **24-26 ოქტომბერს, თბილისში.** მონაწილეები გაეცნობიან ისეთ საკითხებს როგორიცაა წყაროების მოძიებისა და ინტერვიუების ჩატარების ეფექტური ტექნიკა, მონაცემების მოძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ, სოციალური მედიისა და ვიზუალის გაშუქების ინსტრუმენტად გამოყენება, გამოძიების პრეზენტაცია, კონფიდენციალური წყაროების და მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხო კომუნიკაცია.

ტრენინგებს გაუძღვებიან არაერთი ჯილდოს მფლობელი გამომძიებელი ჟურნალისტები და საგამოძიებო ჟუნრალისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელოს *ჟურნალისტ-გამომიებლის სახელმღვანელო - დოკუმენტების, მონაცემთა გაზებისა და მეთოდების გზამკვლევი* ავტორები **მარკ ჰორვიტი** და **ბრანტ ჰიუსტონი,** და პრესის თავისუფლების ფონდის (Freedom of the Press Foundation) ციფრული უსაფრთხოების ხელმძღვანელის მოადგილე, ციფრული უსაფრთხოების საერთაშორისო ექსპერტი **ოლივია მარტინი**.

ევროპის ფონდის შესახებ

ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს, წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. მიზნობრივი პროგრამების და საგრანტო კონკურსების გზით, ევროპის ფონდი მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე პოზიტიურ ცვლილებს უწყობს ხელს.

ფონდის მანდატი და მიდგომები ისეთ მიმართულებებს მოიცავს, როგორიცაა: სამოქალაქო მონიტორინგი, კორპორატიული და საზოგადოებრივი ფილანთროპია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება და საჯარო პოლიტიკის შემუშავება, საზღვრისპირა და თემთაშორისი თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდების ინტეგრაცია, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა, და ღია კარის საგრანტო მექანიზმი.

პრობლემის აღწერა

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბებაში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდი, საქართველოში შეინიშნებოდა კონკრეტული მიღწევები მედია სექტორის გაძლიერებისა და ჟურნალისტების უნარ-ჩვევების გაუმჯობესების კუთხით, ბოლო წლების განმავლობაში ამ მხრივ სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა და თვალსაჩინოა ხელისუფლების მხრიდან მედიის კონტროლის მცდელობები. დღესდღეობით,

მედიაგარემო უკიდურესად პოლარიზებულია და ხელისუფლების წარმომადგენლები ფორმალური და არაფორმალური ბერკეტებით ერევიან მედიასაშუალებების მუშაობაში.

საქართველოში არსებული მყიფე მედიაგარემოს, უკანონო თვალთვალის/მოსმენების სისტემური პრაქტიკის, ასევე იმ სასამართლო განაჩენების გათვალისწინებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს წყაროთა კონფიდენციალურობას, და ჟურნალისტების მიმართ უპრეცედენტო სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის ფონზე, რასაც ხშირად ახორციელებენ ხელისუბლების წარმომადგენლები, ფონდმა დაინახა საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის საჭიროება. ამის გათვალისწინებით, ფონდი მხარს უჭერს მედიის შესაძლებლობების გაძლიერებას და ახორციელებს ჟურნალისტური გამოძიების და შემდგომი თანამონაწილეობითი ადვოკატირების კამპანიების ხელშეწყობას, საჯარო მოხელეებისა და სამთავრობო უწყებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისა და დემოკრატიული, სამართლიანი ერის ჩამოყალიბებისათვის.

ტრენინგის შესახებ

ტრენინგის მიზანია მედიის მაკონტროლებელი ფუნქციის მხარდაჭერა, საგამოძიებო ჟურნალისტიკაში ჟურნალისტების შესაძლებლობების გაძლიერების გზით. მონაწილეები შეისწავლიან როგორ მიიღონ ინფორმირებული და ეთიკური გადაწყვეტილებები ამბის შერჩევისას, როგორ დაგეგმონ და განახორციელონ ეფექტური ჟურნალისტური გამოძიება, როგორ უზრუნველყონ უსაფრთხო კომუნიკაცია და დაიცვან წყაროთა კონფიდენციალურობა.

ტრენინგის პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. სამუშაო ენაა ინგლისური, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სინქრონული თარგმანი უზრუნველყოფილი იქნება.

ვის შეუძლია ტრენინგში მონაწილეობის მიღება

ტრენინგში მონაწილეობისათვის განმცხადებლები შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- აკადემიური ხარისხი ჟურნალისტიკაში, მედიის კვლევებში, სოციალურ მეცნიერებებში ან მსგავს სფეროში;
- მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება მედია სფეროში;
- ტრენინგის სრული პროგრამის დასწრება
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა (სასაუბრო და წერითი უნარები).

განაცხადების წარდგენის პროცედურა:

ტრენინგში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი # 1);
- CV და მოკლე ბიოგრაფია ინგლისურად.

დაინტერესებულმა პირებმა მითითებული დოკუმენტები უნდა გამოგზავნონ არაუგვიანეს **2022 წლის 26 სექტემბრისა** ელ.ფოსტის შემდეგ მისამართზე: info@epfound.ge.

გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ: *Training on Investigative Journalism and Digital Security*. ევროპის ფონდი მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს დაუკავშირდება.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპის ფონდი, თბილისი, კავსაძის ქ. 3, მე-2 სართული, ტელ.: 225 39 42 (43). საკონტაქტო პირი: ნინო სტავრიდი, პროგრამის მენეჯერი.

განრიგი:

ტრენინგის გამოცხადება	2022 წლის 9 სექტემბერი
განაცხადების შემოტანის ბოლო ვადა	2022 წლის 26 სექტემბერი
მონაწილეთა შერჩევა	2022 წლის 30 სექტემბერი
ტრენინგის დაწყება	2022 წლის 24 ოქტომბერი